ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3494858

ნომერი: AR1534686

თარიღი : 23.08.2017

გაცემის თარიღი : 24.08.2017

გაცნობის თარიღი : 24.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის მასივი , კვარტალი I წიგნის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის მიმდებარედ (ნაკვ.4/16));

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ქობალია პ/ნ 19001002458
- საქართველო, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზუგდიდი, ლევან ქობალიას ქუჩა, N 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 აგვისტოს №2055740 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 23 აგვისტოს №AR1534686 განცხადებით მომართა ალექსანდრე ქობალიამ და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2015 წლის 07

აგვისტოს №2055740 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 აგვისტოს №2055740 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, დიღმის მასივში, I კვარტალში, წიგნის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის მიმდებარედ, (ნაკვ.4/16), მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.13.04.004.016, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 07 ივლისიდან 2018 წლის 07 ივლისის ჩათვლით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3025022 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და განმარტავს, რომ ავტოსადგომის ფართობი უნდა იყოს 5598.5 კვ.მ ნაცვლად 5541.9 კვ.მ-სა კვ.მ, ხოლო საერთო ფართობი უნდა იყოს 20584.6 კვ.მ ნაცვლად 20527.9 კვ.მ-სა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 23 აგვისტოს №AR1534686 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2015 წლის 07 აგვისტოს №2055740 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 აგვისტოს №2055740 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 5598.5 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს 20584.6 კვ.მ.

2. სამსახურის 2015 წლის 07 აგვისტოს №2055740 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 აგვისტოს №2055740 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.